თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის 2 ივნისის სხდომის

ოქმი № 5

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020 წლის 2 ივნისს შედგა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს დისტანციური სხდომა.

სხდომა გახსნა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია სულ 39 წევრი

სხდომას ესწრებოდა 38 წევრი

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი

1. ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

2. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხების მინიჭების შესახებ

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი პროფესორი ე. ხარაიშვილი/

3. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2019-2020 სასწავლო წლის სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დამტკიცების შესახებ

   /ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი გ. ღაღანიძე/

4. ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ელენე ფიცხელაურის სადისერტაციო ნაშრომის: „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების თანამედროვე ტენდენციების სტატისტიკური კვლევა“ (მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი სიმონ გელაშვილი), დაცვის კომისიის და შემფასებლების დამტკიცების საკითხი.

   /სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსი, ასოც.პროფესორი მ. ლობჟანიძე/

5. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, პროფესორ გიორგი ღაღანიძის ინფორმაცია, სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის შ. კეჟერაშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადების (29/05/2020) საფუძველზე თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ:

თეკლე ჭიოკაძე (პ/ნ: 54001058660)
თორნიკე ტუღუში (პ/ნ: 01005041377)
ნანა კაკულია (პ/ნ: 01005037401)
მარიამ ბუბაშვილი (პ/ნ: 41001031145)
თათია კელაპტრიშვილი (პ/ნ: 01017051113)
საბა ბაკურაძე (პ/ნ: 27001007988)

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, 28 მომხრე, არცერთი წინააღმდეგი, ფაკულტეტის საბჭომ სცნო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა უფლებამოსილება.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, პროფესორ გიორგი ღაღანიძის ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა:

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 38
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის 2 ივნისის №5 სხდომის დღის წესრიგი:

1. ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ
/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

2. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხების მინიჭების შესახებ
/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი პროფესორი ე. ხარაიშვილი/

3. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2019-2020 სასწავლო წლის სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დამტკიცების შესახებ

/ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი გ. ღაღანიძე/

4. ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ელენე ფიცხელაურის სადისერტაციო ნაშრომის: „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების თანამედროვე ტენდენციების სტატისტიკური კვლევა“ (მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი სიმონ გელაშვილი), დაცვის კომისიის და შემფასებლების დამტკიცების საკითხი.

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსი, ასოც.პროფესორი მ. ლობჟანიძე/

6. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი პროფესორი ე. ხარაიშვილი

პროფესორმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წარუდგინა ცვლილებები, რომელიც შევიდა ეკონომიკის ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში:

1. პროგრამის ხელმძღვანელებად დამტკიცდნენ: პროფესორი გიორგი ღაღანიძე, თანახელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ზურაბ აბრამიშვილი;
2. სასწავლო კურსი ეკონომიკური პროგნოზირება გახდა არჩევითი, იგი ჩაანაცვლა საგანმა ეკონომეტრიკა 3
3. პროგრამას დაემატა არჩევითი და თავისუფალი კრედიტის საგნები.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა.

კენჭისყრის შეგეგები: მომხრე - 38

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილებები ეკონომიკის ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში.

მოისმინეს: ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი პროფესორი ე. ხარაიშვილი/

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა პროფესორმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოდული „ციფრული ეკონომიკა", ხელმძღვანელი პროფესორი გ. ღაღანიძე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა.

კენჭისყრის შეგეგები: მომხრე - 38

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოდული „ციფრული ეკონომიკა" ხელმძღვანელი პროფესორი გ. ღაღანიძე.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხების მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი პროფესორი ე. ხარაიშვილი/

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა პროფესორმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოვიდა ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის „საერთაშორისო საწარმოთა მართვის" კურსდამთავრებულის მამუკა ზაქარეიშვილის განცხადება (№83/29, 08.01.2020), რომლითაც ითხოვს 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომისა და გაზაფხულის სემესეტრებში ფრიდიხ-შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტში შესწავლილი სასწავლო კურსების აღიარებას და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებას (კურსდამთავრებული განცხადებაში აღნიშნავს, რომ სწავლის საფასური სრულად აქვს დაფარული).

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ მამუკა ზაქარეიშვილი 2012-2013 სასწავლოწლის შემოდგომის სემესტრში ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთობლივი სამაგისტრო პროგრამაზე - საერთაშორისო საწარმოთა მართვა (ბრძანება №1558/01-04, 24.09.2012). 2012-2013 სასწავლოწლის შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრში იგი სწავლობდა თსუ უნივერსიტეტში. შეთავაზებული სასწავლო პროგრამის სასწავლო კურსებიდან (60 კრედიტი) აითვისა 55 კრედიტი. კრედიტი ვერ მოიპოვა სასწავლო კურსში „მონაცემთა ბაზები ბიზნესში" (5 კრედიტი), რომელიც გაიარა ფრიდიხ-შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტში.

2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან შეცდომით შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი, როგორც მესამე სემესტრის მაგისტრანტს - ბრძანება №2177/01-04, 26.11.2013 (ბრძანებიდან ირკვევა, რომ მაგისტრანტს სტუდენტის სტატუსი შეუჩერდა

ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო, თუმცა ამ პერიოდში იგი სწავლობდა ფრიდიხ-შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტში). 2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან სტატუს შეჩერებიდან 5 წლიანი ვადის გასვლის გამო, მამუკა ზაქარეიშვილს შეუწყდა სტუდენტის სტატუსი (ბრძანება№1309/01-04, 25.12.2018).

2020 წლის 8 იანვარს მამუკა ზაქარეიშვილის მიერ ფაკულტეტზე წარმოდგენილი განცხადებასთან ახლდა ფრიდიხ-შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტში მინიჭებული ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ნოტარიულად დამოწმებული ქსერო ასლები), აგრეთვე, იენის უნივერსიტეტის მიერ 2014 წლის19 სექტემბერს გაცემული დოკუმენტი, რომელშიც ფიქსირდება შემდეგი ინფორმაცია: „მამუკა ზაქარეიშვილი დაბადებული 21.04.1991 წელს თბილისში მასზედ, რომ მან ჩააბარა ეკონომიკისა და ბიზნესის (ბიზნესის ადმინისტრირება) ფაკულტეტის მაგისტრატურის პროგარმის გამოცდები (120 ECTS), პროგრამის დასახელება: საერთაშორისო საწარმოთა მართვა საერთო ნიშნით 2,5 (კარგი)." აღნიშნულიდან გამომდინარე ირკვევა, რომ იგი 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრში აქტიურად იყო ჩართული სასწავლო პროცესში, მაგრამ არ გადაუხდია სწავლის საფასური. ფრიდიხ-შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტმა დიპლომი მამუკა ზაქარეიშვილის სახელზე გასცა 2014 წლის 19 სექტემბერს.

მამუკა ზაქარეიშვილმა ფაკულტეტზე წარმოადგინა თსუ საფინანსო განყოფილების დეპარტამენტის მიერ გაცემული ცნობა, რომლიდანაც ირკვევა მის მიერ სწავლის საფასურის სრულად დაფარვა (ამჟამად, მას არ ერიცხება ფინანსური დავალიანება).

თსუ რექტორის 2020 წლის 22 აპრილის №314/01-04 ბრძანებით ბათილად იქნეს ცნობილი „სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლიანი ვადის გასვლის გამო სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე" რექტორის 2018 წლის 25 დეკემბრის N1309/01-04 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული №4 დანართში 103-ე ნომრად მითითებულ მამუკა ზაქარეიშვილის (პ/ნ 01008050248) ნაწილში ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან.

კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისიამ თავდაპირველად 2020 წლის 14 თებერვალს, ხოლო მეორედ 2020 წლის 13 აპრილს იმსჯელა მამუკა ზაქარეიშვილის მიერ 2013-2014 სასწავლო წელს ფრიდიხ-შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტში შესწავლილი სასწავლო კურსების აღიარების თაობაზე და უღიარა 65 კრედიტი.

ამჟამად, კურსდამთავრებულს ათვისებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ფრიდრიხ-შილერის სახელობის იენის (გერმანია) უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამით („საერთაშორისო საწარმოთა მართვა") გათვალისწინებული სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები (120 კრედიტი).

პროფესორმა ე. ხარაიშვილმა, შუამდგომლობით მიმართა ფაკულტეტის საბჭოს, რათა მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი 2014 წლის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის „საერთაშორისო საწარმოთა მართვის" კურსდამთავრებულს:

დიპლომი ჩვეულებრივი:

1. ზაქარეიშვილი მამუკა 01008050248

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა.

კენჭისყრის შეგეგები: მომხრე - 38

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „საერთაშორისო საწარმოთა მართვის" სამაგისტრო პროგრამის 2014 წლის შემდეგ კურსდამთავრებულს:

დიპლომი ჩვეულებრივი:

1. ზაქარეიშვილი მამუკა 01008050248

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2019-2020 სასწავლო წლის სამეცნიერო - კვლევითი პროექტების დამტკიცების შესახებ

/ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი გ. ღაღანიძე/

ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ საბჭოს წევრებს გააცნო და დასამტკიცებლად წარუდგინა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის 2020 წლის 11 თებერვლის №07/29-01 ბრძანებით გამოცხადებული მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების კონკურსის დაფინანსებაზე გადაწყვეტილების მიმღები საკონკურსო კომისიის მუშაობის შედეგები. სხდომის ოქმი (ოქმი №2,06.03.2020).

პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსში მონაწილიობის მიზნით შემოტანილი იყო ორი პროექტი ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით:

1. „თსუ-ის კონკურენტუნარიანობის შეფასება აბიტურიენტების დამოკიდებულების კვლევის საფუძველზე" (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების მაგალითზე); პროექტი წარმოადგინა მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის აკადემიურმა პერსონალმა პროფესორ დავით ნარმანიას ხელმძღვანელობით;
2. „მცირე ბიზნესის ფაქტორული მწარმოებლურობა და საექსპორტო შესაძლებლობები საქართველოში"- პროექტი წარმოადგინა საერთაშორისო ბიზნესისა და ეკონომიკასა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრების აკადემიურმა პერსონალმა ასოცირებული პროფესორის დავით სიხარულიძის ხელმძღვანელობით.

ჩატარებულ ღია კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის ყველა წევრმა. პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ საბჭოს მოახსენა, რომ სამეცნიერო-კვლევითი პროექტების კონკურსის დაფინანსებაზე გადაწყვეტილების მიმღებმა საკონკურსო კომისიამ განიხილა ორივე პროექტი და მიიღო გადაწყვეტილება, რომ მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევის ფინანსური უზრუნველყოფისათვის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდეს წარმოდგენილი ორივე პროექტი (ოქმი №2, 06.03.2020).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 38

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის 2020 წლის 11 თებერვლის №07/29-01 ბრძანებით გამოცხადებული მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების კონკურსის დაფინანსებაზე გადაწყვეტილების მიმღები საკონკურსო კომისიის მუშაობის შედეგები. სხდომის ოქმი (ოქმი №2 06.03.2020).

მოისმინეს: ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ელენე ფიცხელაურის სადისერტაციო ნაშრომის: „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების თანამედროვე ტენდენციების სტატისტიკური კვლევა" (მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი სიმონ გელაშვილი), დაცვის კომისიის და შემფასებლების დამტკიცების საკითხი.

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსი, ასოც.პროფესორი მ. ლობჟანიძე/

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტელენე ფიცხელაურის სადისერ-ტაციო ნაშრომი „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების თანამედროვე ტენდენციების სტატისტიკური კვლევა“ მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი სიმონ გელაშვილი.

შემფასებლები:

ეკონომიკის დოქტორი ნანა ასლამაზიშვილი
საქართველოს ეროვნული ბანკი, პროექტების მენეჯერი,
თბილისის თავისუფალი აკადემიის პროფესორი

ეკონომიკის დოქტორი ლია ჩარექიშვილი
საქსტატი, სოციალური სტატისტიკის სამმართველოს უფროსი,
ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

1. აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე
2. პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი
3. პროფესორი ეთერ ხარაიშვილი
4. პროფესორი თემურ შენგელია
5. პროფესორი ნუგზარ თოდუა
6. პროფესორი დემურ სიჭინავა
7. პროფესორი მამუკა ნადარეიშვილი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი)
8. ასოცირებული პროფესორი მარინე მინდორაშვილი
9. ასოცირებული პროფესორი ნინო აბესაძე
10. ასოცირებული პროფესორი მანანა ლობჟანიძე
11. ასოცირებული პროფესორი რუსუდან ქინქლაძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა.

კენჭისყრის შეგეგები: მომხრე - 38
წინააღმდეგი - 0

დადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ელენე ფიცხელაურის სადისერტაციო ნაშრომი „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების თანამედროვე ტენდენციების სტატისტიკური კვლევა“ მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი სიმონ გელაშვილი.

შემფასებლები:

შემფასებლები:

ეკონომიკის დოქტორი ნანა ასლამაზიშვილი
საქართველოს ეროვნული ბანკი, პროექტების მენეჯერი,
თბილისის თავისუფალი აკადემიის პროფესორი

ეკონომიკის დოქტორი ლია ჩარექიშვილი
სექსტატი, სოციალური სტატისტიკის სამმართველოს უფროსი,
ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

1. აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე
2. პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი
3. პროფესორი ეთერ ხარაიშვილი
4. პროფესორი თემურ შენგელია
5. პროფესორი ნუგზარ თოდუა
6. პროფესორი დემურ სიჭინავა
7. პროფესორი მამუკა ნადარეიშვილი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი)
8. ასოცირებული პროფესორი მარინე მინდორაშვილი
9. ასოცირებული პროფესორი ნინო აბესაძე
10. ასოცირებული პროფესორი მანანა ლობჟანიძე
11. ასოცირებული პროფესორი რუსუდან ქინქლაძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს
თავმჯდომარე პროფესორი გ.ღაღანიძე

მდივანი, ასოცირებული პროფესორი მ.მაისურაძე